

# დოგონების კულტურის გამოძახილი ლე კორბუზიეს შემოქმედებაში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ქალაქგეგმარებისა და დიზაინის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი **მარიამ მესტიაშვილი**

ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი **ლალი ხვედელიძე**

დოგონები აფრიკაში არსებული ეთნიკური ჯგუფია. ისინი ცხოვრობენ მალის ცენტრალური პლატოს რაიონში, ქალაქ ბანდიარას სიახლოვეს. მათი რაოდენობა დაახლოებით 400-დან 800 ათასამდეა. ეს ხალხი ცნობილია თავისი საინტერესო არქიტექტურით, ხის ქანდაკებებით, ნიღბებიანი რიტუალური ცეკვებითა და მითოლოგიით. დოგონთა კულტურის ყველაზე გასაოცარი თავისებურება მათი მაღალგანვითარებული ასტრონომიული წარმოდგენებია. მათი ასტრონომიული ცოდნის ყველაზე დამაინტრიგებელი ნაწილი ეხება სირიუსს და თელიან, რომ მათი წინაპრები სწორედ სირიუსიდან ჩამოვიდნენ, იყვნენ ამფიბიები და ამიტომ მათ “ნომო”-თი მოიხსენიებდნენ, რაც წყლის მსმელს ნიშნავს. უხუცესების თქმით, მათ ყველაფერი სირიუსის სისტემიდან, ”კიდობნისმაგავრი” ხომალდით მოფრენილმა ნომომ ასწავლა. ნომოს მოსვლის ამბავი გამოქვაბულის კედლებზეა აღბეჭდილი, თუმცა, ისიც კარგადაა ცნობილი, რომ ეს ნახატები დოგონებს არ ეკუთვნის, ისინი აქ სამი საუკუნის წინათ მოვიდნენ, ნახატები კი 700 წლის წინანდელია.. საინტერესოა, რომ თუ დოგონების კლდეზე აღმოჩენილ ნახატებს ფერებს მოვაშორებთ, მივიღებთ საქართველოში ნაპოვნ ჰორიზონტალურ ხევისურულ იეროგლიფებთან მსგავსებას.

დოგონები სხვებზე ადრე იყენებდნენ შრომის იარაღებს, ჰქონდათ ქვისა თუ ძვლისგან დამზადებული ნაკეთობები, მთავარი საქმიანობა კი ფერმერობაა. მათი არქიტექტურა შეესაბამება კლიმატის მოთხოვნებს. გამოქვაბულებზე გადმოშვებული დიდი ქვები იცავს მათ წვიმისგან. დოგონების წინაპრებს ეკუთვნით ტალახისგან აშენებული კონსტრუქციები, რომლებიც გამოიყენებოდა საბელლედ და სასაფლაოებად. 1960-70 წლებში ჰოლანდიელმა არქეოლოგებმა გათხრების შედეგად დაადგინეს რომ დოგონების წინაპარი იყო ორი განსხვავებული კულტურის მქონე ტომი: ტოლოი და ტელემი.

## **ტოლოი**

მნიშვნელოვანია ყურადღება გამავახვილოთ ტოლოის არქიტექტურაზე. ისინი სამშენებლო მასალად იყენებდნენ ტალახს და თიხას. ფასადზე ზოგან ვხვდებით რელიეფებს, თითოთ შექმნილ ფაქტურებს. აღმოჩენილი მასალა ძვ.წ მე-4 ახ.წ. მე-6 საუკუნეებით თარიღდება.

## **ტელემი**

აღსანიშნავია ტელემის სკულპტურების ესთეტიკური მხარე. ისინი ხასიათდებიან მინიმალიზმით და სწორედ მათ მოახდინეს გავლენა დოგონებზე. დოგონთა სკულპტურა მიწათმოქმედი ხალხის შემოქმედებითი და რელიგიური გამოხატულებაა.

## **დოგონთა არქიტექტურა და რელიგია**

დოგონთა სულიერ წინამძღვარს ჰოგონი ეწოდება. დოგონთა ნაწილი მაჰმადიანია და ამიტომ მეჩეთი მათი არქიტექტურის მნიშვნელოვანი შემადგენელია. არქიტექტურულ ობიექტთა

შორის ვხვდებით ე.წ. „ჯინას“, რომელიც წარმოადგენს უხუცესის სახლს. ჯინა არის ორსართულიანი შენობა მორთული ნიშათა რიგებით. შეობასთან შესაძლებელია იდგეს „კუტოგოლო“ – პატარა საკურთხეველი, რომელიც, დოგონთა რწმენით, ზრდის მფლობელის საციცოცხლო ძალას. იგი დამზადებულია თიხისგან და ადამიანის მსგავსი ფიგურებისგან. მისი ფლობა შეუძლიათ ტყუპებსა და ცაციებს.

დოგონებს რამდენიმე სახის საკურთხეველი გააჩნიათ. პირველი, ეს არის *მონო ალტარი*, რომელიც წარმოადგენს ტალახისგან დამზადებულ სტრუქტურას, ძირითადად სოფლის პერიფერიებში. მას ადამიანების ზებუნებრივი ძალებისგან დაცვა აკისრია.

არსებობს ასევე *ანდუგო – წვიმის საკურთხეველი*, რომელიც უკავშირდება წვიმის მოყვანას. იგი შედგება ანთროპომორფული ფიგურებისგან, კერამიკის ფრაგმენტებისა და ქვებისგან. ფრანგი ანთროპოლოგების აღწერის მიხედვით, სალოცავი შემოსაზღვრულია ოთხი სტატუეტით.

### **მეჩეთი**

ტრადიციული არქიტექტურის დინამიზმი განსაკუთრებით იჩენს თავს სხვადასხვა სტილის მეჩეთებში. მაგ. მეჩეთთა ნაწილის ფასადს ამშვენებს ჭადრაკისებრი, უჯრულა ფორმის ნიშები. ოთხივე მხარე მორთულია კოლონადითა და ნიშებით. შესამჩნევია მსგავსება ჯინასთან (უხუცესის სახლი).

### **დოგონთა სოფლები**

დოგონთა სოფლები გაშენებულია წყალთან ახლოს. საშუალოდ თითოეული სოფელი შედგება 44 სახლისგან, რომლებიც განლაგებულია ჯინას გარშემო. სახლები ერთმანეთთან ძალიან მჭიდროდაა, ხშირ შემთხვევაში აქვთ საზიარო კედლები და იატაკი.

დოგონთა საინტერესო კულტურა და არქიტექტურა არ გამორჩენია მე–20 საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს არქიტექტორს ლე კორბუზიეს. მან 1931 წელს იმოგზაურა საჰარას მიმდებარე ტერიტორიებში და იქიდან შთაბეჭდილებებით აღსავსე დაბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ, თავისი შთაგონების წყაროებზე საუბრისას, თავად კორბუზიე არასდროს ახსენებდა ამ მოგზაურობას და დოგონების არქიტექტურას, მსგავსება აშკარაა. ამასთანავე არქიტექტორი ცნობილი იყო მის ინსპირაციასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე ბუნდოვანი და არაპირდაპირი პასუხების გაცემით.

განვიხილოთ, რაში მდგომარეობს ეს მსგავსებები.

1. დასავლეთ აფრიკის არქიტექტურის გავლენა აშკარად იგრძნობა რონშანის კაპელაში. მისი სახურავის კონოიდური ფორმა (ქარისგან თავის დასაცავად) წააგავს დასავლეთ აფრიკული სახლისა თუ მეჩეთის ძირითად ელემენტებს. ორივე მათგანის ინტერიერი ნათდება სინათლის შახტიდან შემომავალი არაპირდაპირი, ბუნებრივი შუქით, რაც ასევე ახასიათებს დოგონთა საცხოვრებლებს. დოგონების სახლებისთვისაა დამახასიათებელი ასევე მცირე ზომის სარკმლებიც. შენობათა კედლები, წითელ, ყვითელ და მწვანე ფერებშია შედგენილი და სახლებში განათებაც სწორედ ამ ტონალობებში შედის. გარე კედელზე, სარკმელთა ჭრილების თავზე, თაღებია. დანარჩენ კედლებიც დატვირთულია თავისებურად ასკეტური, თუმცა ერთმანეთთან ჰარმონიაში მყოფი დახვეწილი ფორმებით, სწორედ ისეთებით, როგორც დოგონებს სჩვევიათ.

2. ლე კორბუზიე თავის შემოქმედებაში აქტიურად იყენებს ე.წ. ბეტონის ჟალუზებს (მაშკული, brise-soleil), რომელიც განკუთვნილია მზის სხივებისაგან თავდასაცავად. აღნიშნული არქიტექტურული ელემენტი, აფრიკული კლიმატიდან გამომდინარე, დოგონთა სახლების ექსტერიერის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მსგავსი ელემენტების გამოყენება არქიტექტურაში საკმაოდ იშვიათი მოვლენა გახლდათ.
3. შემდეგი მაგალითია კორბუზიეს ქალაქგეგმარებითი ნამუშევარი „სხივური ქალაქი“, რომელიც წარმოადგენდა ჰიპოთეტურ გენ-გეგმის პროექტს მოსკოვისთვის. მის გეგმას შესამჩნევად ანთროპომორფული საფუძველი აქვს, რაც უცხო იყო დასავლური არქიტექტურისთვის, თუმცა მისაღები და დამახასიათებელი დოგონებისთვის.
4. აშკარაა ტიპოლოგიური მსგავსება კორბუზიეს ორ განუხორციელებელ პროექტსა და დოგონთა სოფელს შორის. აღნიშნული პროექტები უნდა განუხორციელებულიყო საფრანგეთის სანაპიროებზე, თუმცა ვერ მოხერხდა. აღსანიშნავია, რომ მოდერნისტულ არქიტექტურაში მივიწყებული იქნა ჰარმონია ბუნებასა და არქიტექტურას შორის. კორბუზიეს პროექტებში კი განსაკუთრებით შეიმჩნევა ჰარმონია დედამიწასთან, ბუნებასთან – ობიექტები მიწის ზედაპირს ისე ეკვრიან როგორც ხალიჩა.

მეოცე საუკუნის დასაწყისი რთული დრო იყო. მხატვრობასა და არქიტექტურაში ერთფეროვნებამ იჩინა თავი. საზოგადოებას სიახლე სწყუროდა. კორბუზიე კი მუდმივ ძიებაში გახლდათ. როდესაც მან აფრიკაში იმოგზაურა, აღმოაჩინა მისთვის საინტერესო, თანამედროვე არქიტექტურისგან განსხვავებული ძლიერ პლასტიკური ფორმები, უხეში სამშენებლო მასალები, ფერთა მრავალფეროვნება. კორბუზიესთვის სწორედ დოგონების ხელთქმნილი ფორმები, ზედმეტად დაუმუშავებელი სამშენებლო მასალები გახდა პირველსახე დაუმუშავებელი ბეტონის გამოყენების იდეისა, საჩრდილობლებისა თუ სავენტტილაციო შახტების არატრადიციული გადაწყვეტისა, რაც მან თავის შემოქმედებაში ბრწყინვალედ ჩააქსოვა. კორბუზიეს ნოვატორულ მიდგომებს მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა. სწორედ მისი უდიდესი წვლილია იმაში, რომ მეოცე საუკუნის არქიტექტურამ (და არა მხოლოდ) კვლავ დინამიურობა და სიცოცხლე შეიძინა.

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ისტორიაც მოწმობს, ხშირად ნოვატორული იდეები კარგად მივიწყებული ძველისგან იქმნება, რაც ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ახალთან ერთად ძველი, ტრადიციული არქიტექტურა და კულტურა დავიწყებას არ უნდა მიეცეს.

#### **გამოყენებული წყაროები:**

- ჰუიბ ბლომი “დოგონები. ტრადიციები და ფოტოები”
- ჯერალდ სტიენი “დასავლეთ აფრიკის გავლენა ლე კორბუზიეს პროექტებზე”
- [academia.edu](http://academia.edu)
- [wikipedia.org](http://wikipedia.org)
- [astronet.ge](http://astronet.ge)
- Idaaf Magazine